

## კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

### ბაკალავრიატის დებულება

#### პრეამბულა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტის) საბაკალავრო პროგრამები შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ინსტიტუციური აკრედიტაციის ეროვნულ სტანდარტებს, ბოლონიის კონვენციის მოთხოვნებს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესი განათლება – სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა არის ბაკალავრიატი. რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

#### თავი I. ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1. საბაკალავრო პროგრამა

1. ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური და სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტთა პროფესიულ მომზადებას და შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. ბაკალავრიატი – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.
2. აღნიშნული დებულება ვრცელდება პირველი საფეხურის მედიცინის და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამების მიმართაც, გარდა იმ სპეციფიური პირობებისა რაც გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონით, დარგობრივი სტანდარტით და პროგრამის კურსკულუმით. (01-32, 27.03.2024)

##### მუხლი 2. სწავლების ენა

1. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული;
2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, აკრედიტებული პროგრამის შესაბამისად უნივერსიტეტში სწავლება ზოგიერთ ფაკულტეტზე შესაძლებელია განხორციელდეს ნაწილობრივ ან მთლიანად უცხო ენაზე.

##### მუხლი 3. სწავლების ფორმა

ბაკალავრიატში სწავლების ფორმაა დასწრებული სწავლება.

##### მუხლი 4. ბაკალავრიატის დაფინანსება

უნივერსიტეტის ბაკალავრიატში სწავლება ფასიანია. დაფინანსება ხორციელდება სტუდენტების სასწავლო გადასახადის ხარჯზე, რომლის რაოდენობა განისაზღვრება კანცლერის ბრძანებით. სწავლის საფასურის ოდენობა და ურთიერთ უფლება-მოვალეობანი უნივერსიტეტსა და ბაკალავრს შორის რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე.

##### მუხლი 5. საბაკალავრო პროგრამის მიზნები და ამოცანები

1. სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიული მომზადება პროფესიული საქმიანობის დასაწყებად ბაკალავრის ხარისხის ფარგლებში განხორციელებადი კომპეტენციით.
2. ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის, როგორც პროფესიული კომპეტენციისა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ინტელექტუალური რესურსის ფორმირება.
3. სტუდენტთა შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება, გონივრული სასწავლო მოტივაციის ჩამოყალიბება.
4. სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელი თეორიული საფუძვლების შექმნა და ზოგადი უნარ-ჩვევების გამომუშავება. რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისათვის.
5. დამსაქმებლის მოთხოვნებზე ორიენტირებული აკადემიური პროგრამების შემუშავება.
6. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა.
7. სტუდენტთა მობილობის სტიმულირება/განვითარება.
8. ევრო-ამერიკულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება, შეფასებისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ეევროპული სისტემის (ECTS) დანერგვა.

## თავი II. საბაკალავრო პროგრამაზე მიღება-რეგისტრაცია

### მუხლი 6. საბაკალავრო პროგრამებზე მიღება-რეგისტრაცია და სწავლების ხელშეკრულება

1. საბაკალავრო პროგრამებზე სტუდენტები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შედეგად, განათლების მინისტრის მიერ გამოცემული რანჟირების დოკუმენტისა და სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ბრძანების საფუძველზე. ასევე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესისა და მობილობის შედეგების შესაბამისად.
2. სამინისტროს მიერ სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტების უნივერსიტეტის შესაბამის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე.
3. რექტორის მიერ სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ სტუდენტები ვალდებული არიან გაიარონ ადმინისტრაციული რეგისტრაცია დადგენილ ვადებში და წამოადგინონ შემდეგი საბუთები:
  1. სკოლის ატესტატი - დედანი,
  2. პირადობის მოწმობა – ასლი,
  3. 4 ფოტოსურათი 3X4;
  4. მიწერის მოწმობის ასლი (ვაჭებმა)
  5. შეავსოს სპეციალური განაცხადი-აპლიკაცია.
4. **ხელშეკრულება.** უნივერსიტეტის ბაკალავრიატში ჩარიცხვის შემდეგ უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის წარმოქმნილ ურთიერთ უფლება-მოვალეობებს. სწავლის პერიოდში სტუდენტს გააჩნია ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც დადგენილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ურთიერთ შეთანხმებით.
5. **სწავლის საფასური.** ბაკალავრიატში სწავლა ფასიანია. სწავლის საფასურის ოდენობა აგრეთვე ურთიერთ უფლება-მოვალეობანი უნივერსიტეტსა და ბაკალავრს შორის რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. სწავლის საფასური განისაზღვრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ. დაუშვებელია სწავლის საფასურის გაზრდა იმ სტუდენტებისთვის, რომლებთანაც უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება.
6. **უნივერსიტეტის ვალდებულებები:** თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით უნივერსიტეტი ბაკალავრიატს უზრუნველყოფს პროგრამების ყოველწლიურად განახლება-დამუშავებით; მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით; მუდმივად განახლებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს; ევროპული საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისად ფართოდ ნერგავს სწავლების ახალ ეფექტურ ფორმებსა და მეთოდებს.

7. **სწავლის (რეგისტრაციის) შეწყვეტა და განახლება.** სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტში სწავლის (რეგისტრაციის) შეწყვეტისა და აგრეთვე უნივერსიტეტში აღდგენისა და სწავლის განახლების შემთხვევებს არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

### **მუხლი 7. უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის წარმართვა**

1. სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამებზე სხვა სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლის, ისევე როგორც უნივერსიტეტის შიგნით სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამებზე ან ფაკულტეტებზე გადასვლის პროცესს არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
2. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში არაუმეტეს ორჯერ - შესაბამისი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.
3. პროგრამის აკადემიურ ცნობაში აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისობები და შეუსაბამობები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამებთან, რომლებზედაც პირს სურს სწავლის გაგრძელება, რაც დადასტურდება წერილობითი გამოცდის შედეგად.
4. სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან სტუდენტთა ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.
5. სტუდენტის ჩარიცხვა სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან უნივერსიტეტში ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სხვა აქტებით დადგენილი წესით.

## **თავი III. საბაკალავრო პროგრამით სწავლება**

### **მუხლი 8. ECTS – საბაკალავრო სასწავლო კურსის საკრედიტო სისტემა**

1. საბაკალავრო პროგრამა: 240 კრედიტი
2. ხანგრძლივობა: 4 წელი, 8 სემესტრი
3. უნივერსიტეტში მოქმედებს თანამედროვე საკრედიტო სისტემა, რომელიც ეფუძნება ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებას. სასწავლო-საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. 1 კრედიტი = 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. 1 კრედიტი = 25 სთ. და ფარავს სააუდიტორიო და დამოუკიდებელ მუშაობას (1 კრედიტი = 25 სთ).
4. ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.
5. სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360 კრედიტიანი (სწავლის ხანგრძლივობა 6 წელი) ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300 კრედიტიანი (სწავლის ხანგრძლივობა 5 წელი) საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. **(01-32, 27.03.2024)**

### **მუხლი 9. საბაკალავრო პროგრამით სწავლების ვადა**

1. საბაკალავრო პროგრამით სწავლების განსაზღვრული ვადაა 4 წელი (8 სემესტრი) და ბაკალავრიატის სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი;
2. სწავლება შეიძლება გახანგრძლივდეს, თუ:
  - სტუდენტმა ვერ ჩააბარა რამდენიმე საგანი და მას მოუწია დამატებითი სემესტრის აღება;
  - სტუდენტმა აიღო აკადემიური შვებულება.
3. უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებზე შესაძლებელია 4 დამატებითი სემესტრის აღება.

4. ბაკალავრიატში სწავლა/სწავლების სისტემა ეყრდნობა საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის დებულებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ პრინციპებს.

### **მუხლი 10. საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და საკვალიფიკაციო ნიშნები**

საბაკალავრო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იქნეს პროგრამის მიზნები, მისი ადგილი განათლების უწყვეტ ციკლში და სწავლების შედეგები. საბაკალავრო პროგრამებში უნდა აღინიშნოს პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი.

საბაკალავრო პროგრამაში აღინიშნება:

- პროგრამის აქტუალობა და მიზანი.
- სწავლის შედეგი - ბაკალავრიატის კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, მისი ზოგადი ცოდნის დონე, კომპეტენცია და უნარ-ჩვევები.
- დასაქმების სფეროები სადაც რეკომენდებული იქნება აღნიშნული პროგრამით კურსდამთავრებულის შრომითი საქმიანობა.
- საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- სწავლის შემდგომი გაგრძელების სფერო სამაგისტრო პროგრამებზე.

### **მუხლი 11. პრაქტიკა**

უმაღლესი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის პრაქტიკა. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები), კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი. სასწავლო პრაქტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები, პროცედურები და სანიმუშო დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესისათვის, წარმოდგენილია პრაქტიკის სახელმძღვანელო დებულებაში.

## **თავი IV. საბაკალავრო ნაშრომი**

### **მუხლი 12. საბაკალავრო ნაშრომის შესრულება**

1. საბაკალავრო ნაშრომი არის წერითი ხასიათის პროექტი, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს და დაიცვას საკვალიფიკაციო კომისიის სხდომაზე. საბაკალავრო ნაშრომი მოიცავს 6-12 კრედიტს.
2. ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
3. ნაშრომის შეფასების ხდება უნივერსიტეტის საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესის შესაბამისად.
4. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პერიოდი მოიცავს ერთ სემესტრს. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული თემატიკიდან, სტუდენტი ირჩევს საბაკალავრო თემას სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა. სემესტრის ბოლო ორ კვირაში ფაკულტეტი განიხილავს წარდგენილ ნაშრომებს. დადებითი დასკვნის შემთხვევაში ავტორებს ეძლევათ რეკომენდაცია საჯარო დაცვისათვის.
5. ნაშრომის წარმოდგენის კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს დეკანატი. შეფერხების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ოფიციალურად მიმართოს დეკანატს დასაბუთებული განცხადებით ნაშრომის წარდგენის გადავადების შესახებ და გადაწყვეტილებას იღებს დეკანატი.

## **თავი V. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების შეფასების სისტემა, შედეგების გასაჩივრება**

### **მუხლი 13. სწავლის შედეგების შეფასების მიზანი, სტრუქტურა და კრიტერიუმები**

1. შეფასების მიზანი: ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.
2. შეფასების სტრუქტურა: მოდულის/საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემჯამებელი. თითოეულს თავისი პროცენტული წილი აქვს. შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად, რომლებსაც, აგრეთვე, თავისი პროცენტული წილი აქვს ამ ელემენტის ფარგლებში. ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით. კონკრეტული მოდულის/საგნის სილაბუსში, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია კრიტერიუმების დაზუსტება. შეფასება ხდება ქულათა სისტემით. სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დამამთავრებელ გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის დროს ნაჩვენები შედეგები.
3. სტუდენტთა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

## **თავი VI. აკადემიური ხარისხის მინიჭება, ბათილობა და ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა**

### **მუხლი 14. ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**

ბაკალავრის ხარისხი არის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო იერარქიის პირველი დონის კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება სრული სასწავლო ციკლის დასრულების, 240 კრედიტის მოგროვების, სასწავლო პრაქტიკის გავლის, საბაკალავრო ნაშრომის დაცვის და მხოლოდ დადებითი შეფასებების მიღების შედეგად. აკადემიური ხარისხი ადეკვატურად უნდა ასახავდეს ბაკალავრის კვალიფიკაციას. ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც:

- გააჩნიათ დისციპლინების ცოდნა, რომელიც ემყარება ზოგად განათლებას, ეფუძნება სკოლის შემდგომი დონის სახელმძღვანელოებს და მოიცავს ამ დისციპლინების მოწინავე ასპექტებზე.
- შეუძლიათ თავისი ცოდნისა და უნარის გამოყენება ისე, რომ წარმოაჩინონ პროფესიული მიდგომა თავისი სამუშაოსა და პროფესიისადმი.
- შეუძლიათ ინფორმაციის, იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაცია როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტების წრეშიც.
- გამომუშავებული აქვთ სწავლის და მუშაობის ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია განათლების შემდგომი გაგრძელებისა და პროფესიული საქმიანობისათვის.
- ბაკალავრიატში სწავლისას ათვისებული აქვს სავალდებულო 240 კრედიტი, გავლილი აქვს სასწავლო პრაქტიკა, დაცული აქვს საბაკალავრო ნაშრომი და მიღებული აქვს მხოლოდ დადებითი შეფასებები.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეუძლია დაიკავოს თანამდებობა საკართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 15. აკადემიური ხარისხის მინიჭება / ბათილობა და ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა**

1. უნივერსიტეტში განათლების ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაცემა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი. მისი გაცემის წესი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

2. აკადემიური პროგრამის დასრულებისა და მიღწეული შედეგების შესაბამისად, უნივერსიტეტი მიღწეული წარმატებების მიხედვით კურსდამთავრებულებს ანიჭებს ორი კატეგორიის დიპლომს:

- წარჩინების დიპლომი - დიპლომის საშუალო ქულა (GPA) 3,5 და მეტი.
- ჩვეულებრივი დიპლომი - დიპლომის საშუალო ქულა (GPA) 3,5-ზე ნაკლები.

3. დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა. ასეთ შემთხვევაში ის იხდის საგნის იმ ღირებულებას, რაც არის დადგენილი საგნის ხელმოწერა ადების პერიოდისათვის.

4. უნივერსიტეტში სწავლება დამთავრებულად ითვლება და შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ: ბაკალავრიატის სტუდენტმა შეასრულა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა და მას მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
5. კადემიური ხარისხისა და დიპლომის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს კრედიტების დადგენილი რაოდენობა: I საფეხურზე (ბაკალავრი) - 240 კრედიტი.

**მუხლი 16. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კურსდამთავრებულის - ბაკალავრის კვალიფიკაციის დონე**

1. კვალიფიკაციის დონე წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარით“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს – აღმწერებს, შემდეგი სახით: **(01-126, 12.11.2020)**

|   |  |
|---|--|
| <b>ცოდნა და გაცნობიერება</b>            | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს.   |
| <b>უნარი</b>                            | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის.<br>კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.<br>სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს.<br>იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. |
| <b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b> | კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება.<br>საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა.<br>საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.  |

**მუხლი 17. დასკვნითი დებულებები**

1. უნივერსიტეტში ფაკულტეტების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბოლონიის კონვენციის

მოთხოვნების, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

2. აღნიშნულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანცლერის ბრძანებით.

3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.